# პროლეტარული კადრებისათვის

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

№ 18-19 (25-26) || 29 ნოემბერი || № 18-19 (25-26)


1934
53/1934
1ც=35კპ.
29/XI-62 53

## სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის ინსტიტუტის კურს დამთავრებულთა სია

1. ახმეტელი მანანა—ქცევათმეცნიერება
2. აბზიანიძე გიორგი—ქართული ლიტერატურის ისტ.
3. ახათიანი ვლადიმერ—ქარ. ლიტ. ისტორია
4. ბალანჩივაძე სერგო—პოლიტ. ეკონომია (გარდაიცვალა ასპირანტურის დამთავრების შემდეგ)
5. ბალანჩივაძე ივანე—ფინანსები
6. ბერაძე პანტელეიმონ—საბერძნეთის ლიტ. ისტორია
7. გუგუშვილი ვლადიმერ—ქართ. ლიტ. ისტ.
8. გაბისონია მარკოზ—ლენინიზმი
9. ახობაძე ერასტი—ლენინიზმი
10. გოგიბერიძე ალი—ფული და კრედიტი
11. ვაწაძე ეფრემი—ფული და კრედიტი
12. ვასაძე ეპიფანე—ბიოლოგია
13. კაცია აკაკი—პოლიტ. ეკონომია
14. კაკაბაძე ივანე—ქარ. ლიტ. ისტორია
15. კვირიკაძე იასონ—ეკონ. პოლიტიკა
16. მეტრეველი ივანე—სოფ. მეურნ. ეკონომია
17. მელიქაძე ილია—ლენინიზმი
18. ნიკოლაძე ანა—რუსეთის ლიტ. ისტორია
19. ბოჭორიშვილი იონა. სისხლის სამართალი
20. ნუცუბიძე აპოლონ—სოფ. მეურნ. ეკონომია
21. ჟღენტი სერგო—ქართული ენა
22. ხოლომონია ილია—ფული და კრედიტი
23. ქაცარავა ალექსი—მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი
24. ჩიკვაიძე მიხეილ—ეკონ. პოლიტიკა
25. წერეთელი სავლე—ფილ. ისტორია
26. ჭაია თედორე—ბუხჰალტერია
27. ხავთასი გრიგოლ—გერმანეთის ლიტ. ისტორია
28. თოფურია არისტრახი—დიალექტიკური მატერიალიზმი.

ტ. ს. უ. ასპირანტურის ინსტიტუტის დირექტორი:
დოც. შ. სიხარულიძე



სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკები აღლუმზე

## საბჭოების არჩევნები წარმატებით დამთავრდა

საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიას ტფ. სახ. უნივერსიტეტი საკმაოდ მომზადებული შეხვდა. კამპანია სამ პერიოდად იქნა დაყოფილი: 1. მოსამზადებელი, 2. საანგარიშო და 3. საარჩევნო პერიოდი. რაიონის საარჩევნო კომისიის მიერ ჩამოყალიბდა საარჩევნო კომისია 5 კაცის შემადგენლობით. სახ. უნივერსიტეტი დაყოფილ იქნა 10 საარჩევნო უბნად. თითოეულ უბანზე მიმაგრებული იყო საბჭოს წევრი და რწმუნებული. შედგენილი იყო სათანადო კალენდარული ცხრილი საანგარიშო მოხსენებების ჩასატარებლად.

უნდა ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდი ჩატარდა დიდი წარმატებით. დამსწრეთა რაოდენობა ზოგიერთ უბანზე 100 პროცენტს უდრიდა. კამათში გამოდიოდენ საქმიანი წინადადებებით და მუშაობის შეფასებას ყველა უბანზე იძლეოდენ დამაკმაყოფილებლად.

კიდევ უფრო წარმატებით ჩატარდა საარჩევნო პერიოდი. ამრჩეველთა დასწრების საშუალო რაოდენობა ამ პერიოდში უდრიდა 98,9%-ს აქედან ისტორიულ ფაკულტეტზე ამრჩევლები დაესწრენ 100%-ით. ეკონომიურზე 99,6%-ით, ფიზიკომათემატიკურზე 99,3%; საბუნებისმეტყველოზე—99,1 პროცენტით და სხვ.

22 ნოემბერს დამთავრდა არჩევნები. არჩევნების შედეგები ასეთია: ტფილისის საბჭოში არჩეულ იქნა 17 წევრი და 5 კანდიდატი; რაიონულ საბჭოში არჩეულ იქნა 27 წევრი და 9 კანდიდატი. არჩეულ დეპუტატთა შორის მუშები შეადგენენ 30 პროცენტს; ქალები—26 პროცენტს. არჩეული იქნენ აგრეთვე საუკეთესო დამკვრელი და მოწინავე პროფესორები. ამრჩევლებმა დეპუტატებს მისცეს სათანადო ნაკაზი.

ა. ნ.

## ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოქტომბრის დღესასწაულზე

მსოფლიო ოქტომბრის 17 წლის თავი სახელმწიფო უნივერსიტეტმა უდიდესი ხალისით, ალტაცებითა და დარაზმულობით ჩაატარა.

6 ნოემბერს სახ. უნივერსიტეტის კლუბში შედგა ოქტომბრის რევოლიუციის 17 წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა.

კლუბი ლამაზადაა მორთული, კლუბის კედლებს ამშვენებს ბელადების პორტრეტები და მხატვრულად შესრულებული საოქტომბერო ლოზუნგები. დარბაზი ვერ იტევს მაყურებლებს. ზეიმს 1000-დე პროლეტარული სტუდენტობა, პროფესორები და მეცნიერები ესწრება.



ზეიმს ხსნის სახ. უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი. დარბაზში გაისმის „ინტერნაციონალის" ხმა.

თავმჯდომარე თავის შესავალ სიტყვაში მოკლედ ჩერდება იმ დიდ მიღწევებზე, რომელიც მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლებამ პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით.

ორატორის უკანასკნელ სიტყვას ფარავს მქუხარე ტაში და მუსიკის ძლიერი ხმა. აირჩიეს საქმიანი პრეზიდიუმი, ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს: საკ. კ. პ. (ბ) პოლიტბიუროს ამხ. სტალინის მეთაურობით, არჩევას დარბაზი ხვდება ხანგრძლივი ტაშით და ოვაციებით.

კრების თავმჯდომარე ოქტომბრის რევოლიუციის 17 წლის თავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ამხ. ზ. ჩახვაძეს.

ორატორი ჩერდება ოქტომბრის საერთაშორისო მნიშვნელობაზე, ჩვენ მიღწევებზე ქალაქის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში კულტურულ მშენებლობის დარგში და სხვ. დეტალურად არჩევს ჩვენ მიღწევებისა და გამარჯვების მაჩვენებლებს.

დამთავრდა საზეიმო სხდომა, პრეზიდიუმი აცხადებს 5 წუთიან შესვენებას, რის შემდეგ მოსმენილი იქნა ოქტომბრის 17 წლის თავისათვის მიძღვნილი სპეციალური საკონცერტო განყოფილება.

7 ნოემბერი.

უნივერსიტეტის ეზო სიჯანსაღით აღსავსე, მამაცურ გამომეტყველების ერთ-ფეროვან ტანსაცმელში გამოწყობილი 2.000 ფიზკულტურელ ლაშქარითაა გაგსებული, აქვეა სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაკის ფიზკულტურელი—1000-ზე მეტი ვაჟი და ქალი.

ახალთაობის უდიდესი აღტაცება და სიხარული იფრქვევა ეზოში.

სრული 7 საათია, გაისმის მეთაურის ბრძანება „დადექით" და რიგში დგება როგორც ერთი კაცი ცალკე ფიზკულტურელ ვაჟთა რაზმი და ცალკე ქალთა რაზმი.

ცივი და შემპარავი ნიავი, შემოდგომის ბუზივით იკბინება, მაგრამ „მაიკებში" და თეთრ შარვლებში გამოწყობილი ჯანსაღ ტანისა და მაგარ კუნთებიან ახალგაზრდობას ვერ აშინებს ცუდი ამინდი.

ტფილისი საზეიმოდ არის მორთული, იგი დღეს ოქტომბრის დიდ ზეიმს ახლად მოწყობილ ა/კ. ფედერაციის მოედანზე პირველად იხდის. მოედანზე სამი ტრიბუნა აუმართავთ, ერთ—ერთ ტრიბუნაზე ა/კ. პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელები დგანან, მათ შორის ამხ. სტალინის ერთგული თანამებრძოლი, მძიმე მრეწველობის სარდალი ამხ. სერგო ორჯონიკიძე, მასთან არის ამხ. ბერია, მახარაძე ლევანდოვსკი მუსაბეკოვი და სხვ.

იწყება აღლუმი. ტფილისის მშრომელები ესალმებიან ამხ. სერგოს. სრული 12 საათია უნივერსიტეტის ფიზკულტურულ რაზმი, რომელსაც წინ მიუძღვის ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელობა, მწყობრად მტკიცე ნაბიჯით, იშვიათი დისციპლინით მოიწევს ტრიბუნისაკენ. უნივერსიტეტის რაზმი მიუახლოვდა ტრიბუნას. მთავრობის ტრიბუნა ამხ. ჟურულაშვილის სახით ესალმება უნივერსიტეტის რაზმს. მისასალმებელ სიტყვას ხანგრძლივი „ვაშა" ფარავს.

წელს უფრო მწყობრად, კარგად და უკეთეს მაჩვენებლებით იზეიმა უნივერსიტეტმა ოქტომბერი.

სახ. უნივერსიტეტმა მთელი ტფილისის მშრომელებთან ერთად იზეიმა კაცობრიობის ახალი ხანის დასაწყისის—ოქტომბრის 17 წლის თავი.

ხ. შილაია.



ქალთა პირველი ასეული

# საქ. ა.ლ.კ.კ. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის კომიტეტის მუშაობის ანგარიში

## კომიტეტის მდივნის მოხსენება ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. მე-2 კონფერენციაზე*)

პირველი კონფერენციიდან უკვე 2 წელმა განვლო. ეს წლები უსათუოდ ხასიათდება სერიოზული მიღწევებით. ამ მიღწევებს ჯამს გაუკეთებს ჩვენი კონფერენცია და დასახავს საჭირო ღონისძიებებს სახელმწიფო უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაციის შემდგომი მუშაობისათვის.

ჩვენმა ორგანიზაციამ სერიოზული მუშაობა ჩაატარა საკ. ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის ისტორიულ დადგენილების რეალიზაციის საქმეში. ჩვენი მუშაობის მთავარ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს ბრძოლა სასწავლო საწარმოო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, დისციპლინის განმტკიცება და მარქსისტულ—ლენინური სწავლების მაღალ საფუძველზე აყვანა.

უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაცია პირველ კონფერენციაზე 1932 წ. 7 აპრილისათვის თავის რიგებში აერთიანებდა 1200 წევრს. ამჟამად ორგანიზაციაში ითვლება 2.300 კომკავშირელი.

ჩვენი საბრძოლო ამოცანაა ამჟამად შინა საკავშირო მუშაობის გარდაქმნა საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას მე-9 პლენუმისდა 15 სექტემბრის დადგენილებათა საფუძველზე.

დღემდის ზოგიერთმა უჯრედმა თავი ვერ გაართვა ხშირი სხდომებისა და თათბირების მოწვევას. ავიღოთ მაგალითად, საგეგმო სექციის I და II კურსის უჯრედები; იქ ადგილი ჰქონდა ხშირ სხდომებს, დაუსრულებელ, ხანგრძლივ თათბირებს, სექტორიბიდან დაწყებული და უჯრედის ბიუროთი გათავებული, ზოგადი რეზოლუციაის მიღებას, საქმისათვის შაბლონურად მიდგომას და სხვ. სუსტი იყო ძირა რგოლებზე ხელმძღვანელობა. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საალრიცხვო სექციისა და მუშფაკის უჯრედებში.

იყო შემთხვევა, როცა საკავშირო დღის ჩატარება ფორმალურ ღონისძიებათა მიღებით ამოიწურებოდა. საბუნებისმეტყველო ფაკ. უჯრედის მდივანი ამხ. მევრელიძე კომიტეტისათვის გამოგზავნილ ინფორმაციაში წერდა, რომ მან სექტორებთან ბრიგადებიც კი გამოყო 10—12 კ. კ. გაერთიანებით. უცხო ენების სექციასთან არსებულ კ. კ. უჯრედში ოთხი თვის განმავლობაში არც ერთი საკავშირო დღე არ ჩატარებულა, სექციაში არ ყოფილა გამოყოფილი კომორგებიც. უჯრედებმა არ იცოდა თუ რა აკადემიური მაჩვენებლები ჰქონდა კ. კ. წევრებს. სუსტი იყო ბრძოლა გაცდენების წინააღმდეგ. თვითონ უჯრედის მდივანს ამხ. საათაშვილს გაცდენილი ჰქონდა უმიზეზოდ 125 საათი. კ. კ. წევრებზე ირიცხებოდა 5—6 თვეზე მეტის საწევრო დავალიანება. კომიტეტმა გამოიკვლია უჯრედის მუშაობა და დაშალა უჯრედის ბიურო, მოხსნა უჯრედის მდივანი ამხ. საათაშვილი და მიღებული იქნა სათანადო ღონისძიებანი უჯრედის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ყველაფერი ეს ძირა რგოლების სუსტი მუშაობის მტკივნეული მხარეებია. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ძირშივე აღვკვეთოთ ფორმალური მიდგომა საკითხისადმი, მოვსპოთ ფუნქციონალობა და დავნერგოთ მასებში კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის უნარი. დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობაზე დიდმა ბელადმა ამხ. სტალინმა მიგვითითა: „ამხანაგო კომკავშირლებო! ნაკლები ილაყბეთ, მეტი იმუშავეთ და უსათუოდ გააკეთებთ საქმეხო". ბელადის ეს მითითება ურყევად უნდა გავატაროთ ცხოვრებაში·

## კონფერენციის დღიური

22 ოქტომბერს ჩატარდა საქ. ა. ლ. კ. კ. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ორგანიზაციის მეორე კონფერენცია. კონფერენციას დაესწრენ: საქ .ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანი ამხ. გ. გიორგობიანი, ამხ. შახბაზიანი, სახ. უნივერსიტეტის რექტ. პროფ. ლ. აღნიაშვილი და პარტკომის მდივანი.

კონფერენციამ აირჩია საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმი და სამანდატო კომისია.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეული იქნა: საკ. კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ამხ. სტალინის მეთაურობით, ამხ. გ დიმიტროვი, კოსარევი და ამხ. ლ. ბერია.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა: ამხ. გ. გიორგობიანი, შახბადიანი, მაისურაძე, პროფ. ლ. აღნიაშვილი, წილოსანი, კობალაძე, ვაჭარაძე, მეტრეველი, მახარაშვილი, ოთხმეზური, კვირიკაძე და სამსონია და სხვ.

კონფერენციის სახელით მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა ამხ. ლ. ბერიას, საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანს ამხ. გ. გიორგობიანს, ტფილისის კომიტეტის მდივანს ამხ. —მაისურაძეს და გაზეთ „ახალ.კომუნისტი-"ს რედაქციას.

### კომკავშირი ავანგარდული როლის მოპოვებისათვის ბრძოლაში

კომკავშირული ორგანიზაციების მთავარ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა სასწავლო საწარმოო გეგმების დროულად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციამ პარტიის მტკიცე ლენინური ხელმძღვანელობით, კომკავშირული ავანგარდული როლის ამაღლებით, სტუდენტთა აკადემიური მომზადების ფრონტზე მიაღწია ბრწყინვალე წარმატებებს.

დამკვრელ პროფესორ პედ. პერსონალის და სტუდენტთა აქტიური ჩაბმით სოც. შეჯიბრებაში და მათ მიერ აღებული კონკრეტული ვალდებულებების რეალიზაციით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ პირველი სემესტრის სასწავლო საწარმოო გეგმა შესრულებულ იქნა 100 პროცენტით, პირველ სემესტრში კომკავშირელთა საშუალო ნიშანი უდრიდა 3,71, მაშინ როდესაც უპარტიოებისა უდრიდა 3,38. კომკავშირლების წლიური საშუალო ნიშანი უდრიდა 4,93-ს, ხოლო უპარტიოებისა 3,93. სასწავლო დისციპლინის განმტკიცების საქმეში სამართლის ფაკულტეტს პირველი ადგილი უკავია, აკადემიურ დარგში კი მეორე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გვყავდა პირველ სემესტრში სუსტი ჯგუფები, როგორიცაა: გეოგრაფიული მე-4 კურსი, ევროპული მე-3 კურსი, ქართული მე-2 კურსი, რომლებსაც პირველი იანვრისათვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 85 პროცენტით.

ბრძოლას ლექციების გაცდენა-დაგვიანების წინააღმდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კომკავშირის ორგანიზაცია, ვინაიდან შეუძლებელია გაცდენა-დაგვიანების ლიკვიდაციის გარეშე მტკიცე სასწავლო რეჟიმის დამყარება. ამ დარგშიც გვაქვს მიღწევა. შემცირდა კომკავშირელების მხრივ ლექციების გაცდენის პროცენტი. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და და სიმტკიცით გავაჩაღოთ კ. კ. ბრძოლა საკავშირო ცაკის 1932 წ. 19 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციისათვის.

### უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ სოციალისტური შეჯიბრება

სახელმწიფო უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაციას ჰყავს როგორც სწავლების, ისე საზოგადოებრივი მუშაობის ფრონტზე საუკეთესო იზოტოვები. კ. კ. ორგანიზაცია ენერგიულად იბრძოდა სასწავლო გეგმის შესრულებისათვის, სოც. შეჯიბრება-დამკვრელობისა და საზოგადოებრივი ბუქსირის ფართოდ გაშლის გზით. სოციალისტურ შეჯიბრებაში კომკავშირელები ჩაბმული იყვნენ 100 პროცენტით, ხოლო დამკვრელობაში 70 პროცენტით. სოც. შეჯიბრებასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებათა რეალიზაციის საქმეში მოწინავე ჯგუფებია: ეკონომიური ფაკულტეტიდან მე-4 კურსის მე-2 ჯგუფი (საშუალო ნიშანი უდრის 4,7), ამავე კურსის მე-5 ჯგ. (საშუალო ნიშანი უდრის



ამხ. კოსარევი

4,7), მე-2 კურსის მე-71 ჯგ. და მე-3 კურსის მე-45 ჯგ. ჩამორჩენილია II კურსის მე-74 და მე-75 ჯგ. მე-4 კურსის მე-2 ჯგუფში გვყავს საუკეთესო დამკვრელი სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ არც ერთი დამაკმაყოფილებელი და ყველა საგანი ჩაბარებული აქვთ ფრიადზე და კარგზე. იგივე ამხანაგები არიან საზოგადოებრივი მუშაობის ფრონტზე მოწინავენი. ასეთებია ეკონომიური ფაკულტეტიდან ამხ. ამხ. მ. მახარაშვილი, რ. ოთხმეზური, გ. გიორგობიანი, მუჯირი, ს. ფაჩულია, ხუნჯუა, ბერიძე, ვ. დარჩია, ტუშა დოლიძე, კალ. ანთაძე, ნინო მატატაშვილი, ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტიდინ: ვ. ქვარცხავა, გ. ამიროვი, აჰმედ გრძელიძე, ნ. ბერაია, გერმანე გობეჯიშვილი, გოგოხია, სამართლის ფაკულტეტიდან. ალ. დოლიძე, გ. შეწირული, ს. ანთიძე, ო. მაჭარაშვილი, ზინა ჟვანია, ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტიდან: ცქვიტარია. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან: მევრელიძე, სანაძე, ცხაკაია. მუშფაკიდან: ბოლქვაძე, შელიავა და სხვ.

აღსანიშნავია სამეცნიერო ძალებიდან ჩვენი კ. კ. კადრი და ამ დარგში ასპირანტურის კ. კ. ორგანიზაციის მუშაობა. გვყავს საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერული ძალები, რომლებიც როგორც აკადემიური, ისე საზოგადოებრივი მუშაობის ფრონტზე იძლევიან საუკეთესო მაჩვენებლებს. ასეთებია ამხ. ვ. მეტრეველი, აპ. ნუცუბიძე, ი. კვირიკაძე აკ. კაცია, მ. ჩიკვაიძე და სხვები.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გვყავს ჩამორჩენილი და უდისციპლინო კომკავშირლებიც, როგორიცაა: ხატიაშვილი, ნარიშელშვილი, ფიფია, ბაჯელიძე და რევია.

### მარქსისტულ-ლენინური სწავლება

შემოდგომა-ზამთრის პოლიტ. სწავლების ქსელის გაშლასთან დაკავშირებით 1933/34 წელს ჩამოყალიბებულ იქნა 67 პოლიტ-სკოლა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო სულ 2239 მსმენელი, მათ შორის კ. კ. წევრები 1506, უპარტიო ახალგაზრდობა 715. წრეები უზრუნველყოფილი იყო სათანადო პროპაგანდისტებით. აგრეთვე გვყავდა საგარეუბნო მომუშავე 120 პროპაგანდისტი. უკანასკნელად ჩვენი პოლიტ. სკოლები გადაყვანილი იქნა მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა შემსწავლელ წრეებად. გამოშვებასთან დაკავშირებით მოვახდინეთ პოლიტქსელის დაკომპლექტება. ჩამოყალიბდა 74 პოლიტსკოლა, რომლებშიაც გაერთიანებულია 2952 მსმენელი, მათ შორის კ. კ.—1918, უპარტიო 1034. პოლიტ-სკოლების გამოშვების შედეგებმა გვიჩვენა, რომ პოლიტსკოლებში ფრიადზე ჩააბარა 632 კ. კ., კარგზე 729, დამაკმაყოფილებელზე 519, სუსტზე 31. ამრიგად პოლიტ. სწავლების დარგში მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ზოგიერთი კომკავშირელის პოლიტ. მომზადება ძალზე სუსტია. გვყავს ისეთი კომკავშირელებიც, რომლებიც მიმდინარე პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებშიაც კი ვერ ერკვევიან, მაგ. ამხ. როყავა ვალერიანე კ. კ. წევრი 1930 წლ. ყოფ. მასწავლებელი, ამჟამად ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტმა. არ იცის რა განსხვავებაა ცაკსა და სახკომსაბჭოს შორის. არ იცის ვინ არის ამხ. კოსარევი. როდესაც მას შევკითხნენ: ვინ არის რუზველტი ან საიმონი, მან უპასუხა: „ესენი არიან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები გერმანიაშიო". საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან ამხ. ნინო კვაჭაძემ კ. კ. წევრმა 1925 წლიდან, ამჟამად მე-2 კურსის სტუდენტმა არ იცის თუ ვინ არის კომკავშირის ა/კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი; როდესაც მას ვეკითხებით, დაამუშავა მან სტალინის მოხსენება? იგი გვიპასუხებს: „კ...ბელ წავიკითხე იგი, მაგრამ კარგად არ მახსოვს" კიდევ მეტი: ამავე უჯრედის აკადემიური სექტორის ყოფილ ხელმძღვანელს ამხ. კუღუა ვლადიმერს, კ. კ. წევრს 1930 წლიდან, გეოგრაფიულ სექციის მე-2 კურსის სტუდენტს ვეკითხებით თუ რა თანამდებობაზეა ამხ. კაგანოვიჩი და კუიბიშევი. ის გვიპასუხებს: ამხ· კაგანოვიჩი არის ცეკას მდივანი და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამხ. კუიბიშევი კი არის კოლმეურნეობის თავმჯდომარე".

ჩვენი შემდგომი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატიურად უზრუნველვყოთ არა მარტო დასწრება პოლიტსკოლებში, არამედ შეთვისების ხარისხობრივი მაჩვენებლების შემოწმებაც.

საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას მე-9 პლენუმის დადგენილებათა ბოლშევიკური რეალიზაციით უნდა მივაღწიოთ კომკავშირულ პოლიტგანათლების კიდევ უფრო მაღალ ხარისხობრივ და რიცხვობრივ მაჩვენებლებს.

სახ. უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაცია პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით ბოლშევიკურ ბრძოლას აწარმოებდა მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრების, კონტრევოლუციონური ტროცკიზმის ნამსხვრევებისა და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ. გამომჟღავნებულ იქნა ცალკეულ სტუდენტებში ტროცკისტული რეციდივები. მაგალითად სამართლის ფაკულტეტიდან სტუდენტი გოგოხია ამტკიცებდა, რომ „სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში შეუძლებელიაო". ამ აზრს იცავდა აგრეთვე სტუდენტი დაკარგულია, იგი ამბობდა, რომ „სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში კიდევ არ არის გადაჭრილი პარტიისათვის, ეს საკითხი ბელადების საკამათო საკითხია". მათ წინააღმდეგ დროულად იქნა მიღებული გამანადგურებელი ზომები.

კომკავშირის რიგებიდან გაძევებულ იქნა გადაგვარებული ასპირანტი მაჩაბე მენაბდე, რომელიც ამბობდა, რომ „ჩემი ფსიქოლოგია არ ეგუება კომკავშირის ორგანიზაციასო". სასტიკად დაარტყა თავის დროზე კ. კ. ორგანიზაციამ ჩაჩუას კონტრრევოლუციონურ გამოსვლას. იგი ამტკიცებდა, რომ „კომკავშირი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის საფუძველზე წარმოიშვა. კომკავშირიის საუკეთესო ძალები ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ მოგვცა, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია გატაცებული იყო მარქსიზმის თეორიის შესწავლით, პოლიტიკაში არ ერეოდაო და სხვ". კ. კ. ორგანიზაციამ გამანადგურებელი იერიში მიიტანა როგორც ჩაჩუას კონტრრევოლუციონური გამოსვლის, ისევე ციხისთავისა და თოფურიას წინააღმდეგ, რომლებმაც გამოიჩინეს ლიბერალური დამოკიდებულება ჩაჩუას კონტრრევოლუციონური გამოსვლისადმი.

ასპირანტთა უჯრედის წევრი ი. გაბილაია ავითარებდა ტროცკისტულ აზრს. გაბილაიას ტროცკისტული კონტრაბანდის წინააღმდეგ დროულად იქნა მიღებული სათანადო ზომები, იგი გაირიცხა კომკავშირის ორგანიზაციიდან, მასთან სასტიკად დავარტყით კ. კ. გ. ერემოვს, რომელიც ავითარებდა ტროცკისტულ შეხედულებებს.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პარტიის მტკიცე ლენინური ხელმძღვანელობით ვაწარმოოთ სასტიკი დაუნდობელი ბრძოლა ორ ფრონტზე; მემარჯვენე „მემარცხენე" გადახრების, კონტრრევოლუციონური ტროცკიზმის რეციდივების, დამპალი ლიბერალიზმის და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ.

### სტუდენტთა მატერიალური მომსახურეობა

სტუდენტთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის დარგში ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. საერთო საცხოვრებელში მოთავსებულია 956 სტუდენტი და 230 მუშფაკელი. გაუმჯობესებულია სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობა. სასადილოზე მიმაგრებულია 1.500 სტუდენტი. გასულ წელს საშუალოდ სტუდენტს სადილი უჯდებოდა 2 მანეთი. ამჟამად იგი დაყვანილ იქნა 1 მან. და 20 კაპ. სადილის ხარისხიც გაუმჯობესებულია. სტუდ. საერთო საცხოვრებელში მოწყობილია სტუდენტთა საპარიკმახერო, წითელი კუთხეები, კულტურული გასართობები, საჭადრაკო წრეები და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სანიტ.-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას.

უნდა აღინიშნოს, რომ არის ისეთი კორპუსები (მაგალითად მე-6 კორპუსის № 10 და 27 ოთახი მამასახლისი ბურგუჩავა; № 27 მამასახლისი კონსტინიდი; მე-6 კორპუსის № 37 ოთახი მამასახლისი ქუთათელაძე), სადაც არ ექცევა საჭირო ყურადღება სანიტ-ჰიგიენური პირობების დაცვას, არ ხდება იატაკების დასუფთავება, ოთახის დაწმენდა და სხვ. საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ საექიმო კონტროლი საერთო საცხოვრებლებში სისუფთავის დაცვის უზრუნველსაყოფად·

---

*) კონფერენციის შემოკლებული სტენოგრაფიული ანგარიში სხვადასხვა მიზეზების გამო იბეჭდება დაგვიანებით რედ.

# კამათი მოხსენების გარშემო

## ბინის სივიწროვე

**ამხ. პეტრიაშვილი**—(სახ. უნივერსიტეტის მუშფაკი) მუშფაკის ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა კონკრეტულ ოპერატული ხელმძღვანელობით სასწ. წლის ბოლოს შეძლეს მაღალ ხარისხოვანი მაჩვენებლების მიღება. გაშლილია სათანადო მუშაობა ჩამორჩენილ სტუდენტების ცოდნის ამაღლებისათვის. მაგრამ სტუდენტთა მატერიალური ყოფაცხოვრების პირობები ჯერ კიდევ ვერ არის თავის სიმაღლეზე დაყენებული, კერძოდ ბინის სივიწროვე ხელს უშლის სტუდენტთა ნორმალურ მუშაობას. სახ. უნივერსი[...]მა ამ საკითხს ყურადღება უ[...] მიაქციოს.

## მას ასეთი საქმეები არ უყვარს

**ამხ. ჩინჩალაძე**—(ფიზ. მათემატიკური ფაკ.) კომკავშირის ორგანიზაციას თვითეული კომკავშირელი შესწავლილი უნდა ჰყავდეს. არის ზოგიერთი კომკავშირელი, რომელიც არ დადის ფიზკულტურულ მეცადინეობაზე (მაგ. ამხ. **ქირია**,) და ამის შესახებ ორგანიზაციამ არაფერი იცის (ფიზ. მათემატ. ფაკ.). ამხ. ქირია თავს იმით იმართლებს, რომ მას ასეთი საქმეები არ უყვარს. ბევრია ისეთი ამხანაგები, რომლებზედაც სათანადო[...] ორგ. ზომები უნდა იქნეს მიღ[...] კომკავშირის ორგანიზაცი[...]ელმძღვანელები, ჯგუფორგანიზატორები სათანადო ავტორიტეტით უნდა სარგებლობდენ, აკადემიურად მოწინავეები უნდა იყვნენ, რომ სხვებს მაგალითი მისცენ. ცუდათ დგას 1-ლ კურსელ სტუდენტების შესწავლის საქმე. პირველი კურსის სტუდენტი ამხ. ალ. ბიწაძე აცხადებს: „**ფიზ. მათემატიკური დარგი დავამთავრო და კომკავშირელობა რათ დამჭირდება“ო.** შენიშნულია ის, რომ ზოგიერთი ლექტორები საგნებში აღრიცხვას არ აწარმოებენ. მხოლოდ წლის ბოლოს რამოდენიმე დღით შემოწმებით კმაყოფილდებიან. აღრიცხვა სისტემატურად უნდა წარმოებდეს.

## ბევრი ვერ ერკვევა მუშაობაში

**ამხ. რ. ოთხმეზური**—(ეკ. ფაკ. კ. კ. კომიტეტი) მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შინა—საკავშირო მუშაობის გარდაქმნისა და ქვედა რგოლების განმტკიცების საქმეს. ბევრი ჯგუფორგანიზატორი ვერ ერკვევა მუშაობაში, ლაპარაკობენ ბევრს და საქმეს აკეთებენ ნაკლებს. არა აქვთ მუშაობის კონკრეტული გეგმა, რაც არ არის სწორი.

მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში უდაოა ის, რომ გასულ წელს კარგ მაჩვენებლებს მივაღწიეთ. მიმდინარე წელს არა სწორად იქნა დაკომპლექტებული ზოგიერთი წრეები. გამორჩენილია აკადემიურ ჯგუფებიდან მთელი რიგი კომკავშირელი (საგეგმო I და II კურსი და თეორიული განყ.), რაც მომასწავებელია იმის, რომ ყოფილი უჯრედის ხელმძღვანელობა „ლიკვიდატორულ“ მდგომარეობაში მოექცა და წრეები მექანიკურად დააკომპლექტეს.

საკ. კ. კ. ცეკამ ჩვენს, ინაშე მთელი სიმწვავით დააყენა საკითხი კულტმასობრივი მუშაობის შემდგომი გაშლის შესახებ. ამ მხრივ მთავარი როლი უნდა ითამაშოს კლუბმა. ჯერჯერობით კი კლუბის მუშაობა საგრძნობლად ჩამორჩება სტუდენტთა კულტურულ მოთხოვნილებებს. კლუბი გადაქცეულია მხოლოდ „სხდომის დარბაზად“. საჭიროა კლუბში გაიშალოს საწრეო და სხვა კულტ. მასობრივი მუშაობა.

## „საშუალო ნიშანი 4-ზე ვერ ავა“

**ამხ. დოლიძე**—(სამართლის ფაკულტეტი) სამართლის ფაკულტეტი ერთ-ერთი მოწინავე ფაკულტეტია, პირველია დისციპლინის განმტკიცების საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ამხანაგი ამტკიცებს (ფიზიკო—მათემატიკური ფაკულტეტიდან), რომ ფიზიკო—მათემატიკურ ფაკულტეტზე საშუალო ნიშანი 4-ზე ვერ ავა, რადგან მათემატიკა არის განყენებული მეცნიერება, რომლის დაუფლება სტუდენტების მიერ კარგად ან ფრიადზე შეუძლებელია. ეს თვალსაზრისი ძირშივე შემცდარია. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ „კარგებისა“ და „ფრიადებისათვის“.

მარქსისტულ სწავლების წრეებში ადგილი ჰქონდა გასულ წელს 6 დღიურში ორჯერ მეცადინეობას, რაც გავლენას ახდენდა შეთვისების ხარისხზე. მიმდინარე წელს ასეთი მოვლენა არ უნდა განმეორდეს.

ცუდ მდგომარეობაშია სტიპენდიების გაცემა. ამას წინად ზოგიერთი სტუდენტის სტიპენდია ქურდულად გაიტანეს ვილაცეებმა. ამ ბოროტმოქმედებაში აღმოჩენილი იქნა კომკავშირის წევრი ო. **ტატიშვილი**, მაგრამ ეს ამხანაგი ჯერ კიდევ დაუსჯელი დადის.

## მაშინ სადილი იაფად გაცეს

ამხ. **კალანდაძე**—(„მს. კ.“) სტუდენტთა სასადილოებში სადილის ხარისხი გაუმჯობესდა, მაგრამ უნდა ითქვას რომ ზოგჯერ ადგილი აქვს არა სასურველ მოვლენებს. მაგ. სტუდენტთა ქალაქში, როდესაც ამხ. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. **ჩიხლაძე** მოვიდა, მაშინ სადილი იაფ ფასებში გაცეს, ისე კი ძვირად ჰყიდიან.

გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის“ში გამოქვეყნებული იყო წერილი მოსამსახურე სტუდენტებზე სტიპენდიის მოხსნის შესახებ, მაგრამ ამის გარშემო დირექციის მიერ არაფერი გაკეთებულა.

ახალ სასწავლო წელს სტუდენტთა ქალაქი სათანადოდ ვერ შეხვდა! არ არის შეკეთებული საცხოვრებელი ბინები. ნორმალურ მეცადინეობას ხელს უშლის აგრეთვე ზოგიერთ დისციპლინებში პოგრამების უქონლობა, რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

## გაცდენების მხრივ მდგომარეობა უარესია

**მეგრელიძე**—(გეოგრაფ-გეოლოგიური განყ.) მარქსისტულ-ლენინურ სწავლების წრეებში I-ლი მეცადინეობის დროს ადგილი ჰქონდა მსმენელების მიერ გაცდენას, რაც მომასწავებელია იმის, რომ ორგანიზაციული მუშაობა სუსტად იყო ჩატარებული.

სასწავლო ნაწილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლექციების გაცდენების ლიკვიდაციას, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც აქვს ადგილი მთელ რიგ ჯგუფებში გაცდენებს. ამ მხრივ გასულ წელთან შედარებით უარესი მდგომარეობა გვაქვს. ამას ხელს უწყობს ის, რომ ცხრილი კარგად არ არის შედგენილი. ხშირია შემთხვევა, როცა ორი ჯგუფი ერთ და იმავე საათში ხვდება ერთ აუდიტორიაში, რაც იწვევს უდისციპლინობას და ლექციის გაცდენას.

ხშირია შაბათობაზე სტუდენტების მასობრივი გაყვანა (ქალაქის გამწვანება და სხ.), რომლის დროს გვიცდება ლექციები.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდ. სამეცნიერო წრეების მუშაობას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, არ არის გათვალისწინებული ამისათვის ფულადი სახსრები, ამიტომ გეგმაში გათვალისწინებული ექსკურსიები მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

საერთო საცხოვრებლებში სტუდენტებს არა აქვთ ტახტი, ზოგიერთი სტუდენტი იატაკზე წვება, არ არის სამრეცხაო და სხვ.

## ამხ. ჭკუასელის სიტყვა

~~ტფილისის სახელმწიფო~~ უნივერსიტეტმა პარტ-ორგანიზაციისა და რექტორატის ხელმძღვანელობით შეძლო მთელი რიგი საპასუხისმგებლო ამოცანების გადაჭრა. საბჭოთა კავშირის 25 უნივერსიტეტს შორის ჩვენ დავიკავეთ მეოთხე ადგილი. ფიზკულტურის მუშაობის დარგშიც საპატიო ადგილი დავიჭირეთ. ჩვენ შევძელით სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და სტუდენტთა აკადემიური დონის ამაღლება, კულტურულ აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა და სხვ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გვქონდეს დეფექტები.

გასულ წელს უნივერსიტეტში იყო 6 ფაკულტეტი. წელს გვაქვს 9 ფაკულტეტი. უნივერსიტეტი გაიზარდა და მის წინაშე გაზრდილი ამოცანებია წამოყენებული. 80 აკადემიური ჯგუფის ნაცვლად, წელს 130 აკადემიური ჯგუფია, აუდიტორიები კი იმავე რაოდენობით დარჩა. აუდიტორიების სიმცირე ხელს უშლის ლექციების, ლაბორატორიების და კაბინეტების ნორმალურ მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ 294 პროფესორი, დოცენტი, ასისტენტი და ლექტორი გვყავს, ზოგიერთი დისციპლინები მაინც არ არის უზრუნველყოფილი. სამართლიანი არის კამათში გამოსულ ამხანაგების განცხადება იმის შესახებ, რომ დღემდე ვერ მოვახერხეთ ნორმალური ცხრილების შედგენა, რის მიზეზიც არის აუდიტორიების სიმცირე. დეფექტების აღმოფხვრაში კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ. ზოგ შემთხვევაში კომკავშირელები ვერ აქცევენ ყურადღებას ამას და ნაკლებად იბრძვიან ამ დეფექტების წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ კონფერენციაზე არ გვესწრება დეკანები და კომკავშირელი ლექტორები, რაც ჩვენი მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა უფრო ფართოდ შემოვიკრიბოთ მეც. მუშაკები და უპარტიო სტუდენტობის მასა.

მთავარია სწავლების მაღალი ხარისხი, არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა სტუდენტი მხოლოდ კონსპექტით და ჩანაწერით კმაყოფილდება, ან კიდევ არ მუშაობს სისტემატიურად და სესიის წინ მეცადინეობს მხოლოდ. ჩვენ უნდა დავეუფლოთ მეცნიერებას, ამიტომ სტუდენტმა სისტემატიურად უნდა იმუშაოს წიგნზე და არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ლექციების კონსპექტებით. სისტემატიური მეცადინეობის ორგანიზაცია—მთავარი პირობაა სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაციისათვის. ხარისხისათვის ბრძოლა ნიშნავს არა მარტო მსმენელების მიერ მომზადების, არამედ პროფესორ მასწავლებელთა მიერ ლექციების ხარისხის გაუმჯობესებასაც.

**კომკავშირელი სტუდენტი მოწინავე უნდა იყოს პროლეტარულ კულტურის დანერგვაში, ის სანიმუშო უნდა იყოს: ქცევით, ზრდილობით და საერთო კულტურობნობით.**

საჭიროა ყოველდღიური ბრძოლა კომკავშირელთა იდეოლოგიური დონის ასამაღლებლად.

საჭიროა მჭიდროდ დარაზმვა უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტისა და რექტორატის ირგვლივ, რომ ფართო სალი თვითკრიტიკით შევძლოთ შემდგომი მუშაობის უკეთესად წარმართვა.

## მოხსენების დასასრული

როგორც საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას 15 სექტემბრის დადგენილებაშია ნათქვამი, ყურადღება უნდა მივაქციოთ კულტურულ დასვენებას და ნაყოფიერ მუშაობას, თეატრებში და კინოში კოლექტიურ დასწრებას, აბანოებსა და საერთო საცხოვრებლებში სისუფთავის დაცვასა და სხვ. ამ მიმართულებით ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა.

**შესრულების შემოწმება ყურადღების ცენტრში.**

კ. კ. მუშაობის სერიოზულ უბანს წარმოადგენს თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა. ამ საქმეში ფართოდ უნდა დავრაზმოთ კორესპონდენტთა მასა და „მსუბუქი კავალერია“; გავუწიოთ მზრუნველობა ადგილობრივ კედლის გაზეთებს, უნდა გავაუმჯობესოთ კედლის გაზეთების შინაარსი, ჩვენ უდიდეს მიღწევას წარმოადგენს ის, რომ გვაქვს მრავალ ტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთი „ბოლშევიკური კადრებისათვის“; მტკიცეთ უნდა დავრაზმოთ მის გარშემო კორესპონდენტთა მასა, გავხადოთ იგი მკითხველისათვის ფართოდ ხელმისაწვდომი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურის გავრცელებას.

ამხ. **კაგანოვიჩმა** მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა საფუძველზე საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას **მე9 პლენუმზე** ჩვენ მიგვითითა მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ შესრულების შემოწმებაზე. უნივერსიტეტის „მს. კ“ მთელი რიგი ბოროტი ქმედებანი აღმოაჩინა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სტამბაში და კოოპერაციაში. გამომჟღავნებული იქნა ყალბი საბუთებით სტუდენტ **ისაკაძის** და **სურმავას** მიერ პურის წიგნაკების გამოტანა, მხილებულ იქნა ბუფეტის გამგე **კიტაიშვილის** ბოროტმოქმედებანი, რომელიც იპარავდა სტუდენტთა ნორმა პურს და კერძო ბაზარზე ჰყიდდა. მომავალში “მს. კ“. მუშაობა უნდა გაიშალოს საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მე-9 პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე. მსუბუქ კავალერიის მუშაობა უნდა გავშალოთ საწარმოო პრინციპის მიხედვით. კომკავშირის მუშაობაში სისტემატიური ყურადღება უნდა მივაქციოთ შესრულების შემოწმებას და საზოგადოებრივ კონტროლის გაძლიერებას.

**გავაძლიეროთ სამხედრო ფიზკულტურული მუშაობა**

1 და 2 კურსი მთლიანად, მხოლოდ დანარჩენი კურსების საგრძნობი ნაწილი გასამხედროებულია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ. საკ. კ. კ. ცეკას დადგენილების საფუძველზე უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაციამ სერიოზული ყურადღება მიაქცია კ. კ. სამხედრო ფიზკულტურის მუშაობის საქმეს.

კიდევ ფართოდ უნდა გავშალოთ ჩვენი მუშაობა ამ დარგში და ჩვენ უნდა შევასრულოთ საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას დადგენილება 1934 წლის ტეხგამოცდისა ვოროშილოვის სროლაზე და „მზად იყავ შრომისა და თავდაცვისათვის“ ნიშანზე ჩაბარებისათვის.

**პარტიის ხელმძღვანელობით.**

სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაცია უზრუნველყოფილია მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობით. ჩვენ მიღწევები მოვიპოვეთ პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანიზაციების ყოველ-დღიური სწორი და ოპერატიული ხელმძღვანელობის საფუძველზე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ძირა რგოლებში პარტორგები იჩენენ წვრილმან მზრუნველობას კომკავშირზე. მაგალითად, ეკონომიური ფაკულტეტის მე-2 კურსის მე-16 ჯგუფის პარტორგი ამხ. **ჩხარტიშვილი** ვერ უწევს კომკავშირს საჭირო ხელმძღვანელობას. ამხ. ჩხარტიშვილმა კომკავშირის სამართლიან კრიტიკას უპრინციპო დაჯგუფება უწოდა. ხდებოდა სტუდენტთა შავ დაფაზე მექანიკური გაკვრა და სხვა. მოისუსტებდა ძირა რგოლებზე პარტ ხელმძღვანელობა მუშფაკის ორგანიზაციაშიაც.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მტკიცედ შევასრულოთ ა/კ. სამხარეო კომიტეტის ბოლშევიკური დადგენილება და ამხ. **ლავრენტი ბერიას** მითითებანი კომკავშირის ორგანიზაციებისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში.

**მორიგი ამოცანები.**

ორიოდე სიტყვა მორიგ ღონისძიების შესახებ. მუშაობის შემდგომ წარმატებისათვის საჭიროა:

მტკიცედ შევისწავლოთ და გავატაროთ ცხოვრებაში საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის დადგენილებისა და ამხ. სტალინის და კაგანოვიჩის მითითებების საფუძველზე მიღებულ საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას მე-9 პლენუმის დადგენილებანი.

გადავიტანოთ მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი ძირა კომ. ჯგუფორგების და საფაკულტეტო ორგანიზატორების კონკრეტიულ ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე.

ჩავნერგოთ მასებში შრომის სოციალისტური ფორმები: სოც-შეჯიბრი, დამკვრელობა და საზოგადოებრივი ბუქსირი; ჩავაბათ მათში მთელი მასა.

უზრუნველვყოთ საკ. ცაცის 19 სექტემბრის დადგენილების მტკიცე რეალიზაცია სწავლების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში, ლექციების გაცდენა-დაგვიანების ლიკვიდაციის და კომკავშირის ავანგარდულ როლის ამაღლებით.

ავიყვანოთ მაღალ საფუძველზე კ. კ. პოლიტგანათლების დონე, შევამოწმოთ, თუ რას აკეთებს თვითეული კომკავშირელი მარქსისტულ-ლენინური სწავლების ფრონტზე.

გავუწიოთ სისტემატიურად კონკრეტიულ ოპერატიული ხელმძღვანელობა ძირა კომჯგუფორგების მუშაობას, ძირშივე ავღკვეთოთ ზოგადი პროპაგანდა, ხშირი სხდომები და თათბირები და მთელი ჩვენი მუშაობა გადავიტანოთ სასწავლო, საწარმოო გეგმების მტკიცედ შესრულების დარგში.

გავშალოთ ბოლშევიკური ბრძოლა სასწავლო გეგმების და პროგრამების დროულად სტუდენტებამდე დაყვანისა და კათედრების, საბიბლიოთეკო და საწრეო მუშაობის მაღალ საფუძველზე აყვანისათვის.

ჩავაბათ კ. კ. და უპარტიო მშრომელი ახალგაზრდობა სამხედრო ფიზკულტურულ წრეებში ვოროშილოვისებურ მსროლელთა მომზადებისათვის.

მივაღწიოთ სტუდენტთა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

# კვლავ ვიბრძვით პირველობისათვის

(ბოტანიკის კათედრა)

მიმდინარე გაზაფხულს კათედრამ ჩაატარა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. საველე მუშაობისათვის გაგზავნილ იქნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამი ექსპედიცია: ერთი ექსპედიცია მუშაობდა აღმოსავლეთ საქართველოში (გორის, თელავისა და გარე-კახეთის რაიონებში) დოც. **ნიკო კეცხოველის** ხელმძღვანელობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა „ველების წინ წამოწევისა და ტყეების უკან დახევის“ შესწავლა, სამკურნალო მცენარეების აღმოჩენა. კვლევის დროს აღმოჩენილ იქნა ნედლეული მრეწველობისათვის, როგორიც არის საგრილებელი წყლებისა და სიროფის დამზადებისათვის გამოსადეგი მცენარეები. მაგ. Hyppophede ramnoides?

მეორე ექსპედიცია გაგზავნილი იყო დასავლეთ საქართველოში დოც. **მაყაშვილის** ხელმძღვანელობით, გამოკვლეულ იქნა ველურ სუბტროპიკულ მცენარეთა გავრცელება.

მესამე ექსპედიციას დოც ლ. **ყანჩაველის** ხელმძღვანელობით დავალებული ჰქონდა ტფილისის მიდამოების მავნე სოკოების შესწავლა. საერთოდ ექსპედიციების მუშაობამ დიდი შედეგები მოგვცა.

კათედრას ჰყავს საუკეთესო დამკვრელი ლექტორები და მეცნიერი მუშაკები. ესენი არიან დოც. **ნიკო კეცხოველი**, დოც. **ქს. ცხაკაია**, დოც. **ელ. ქიქოძე**, ასისტენტები: **პ. ცაგარელი**, **ქ. ბექაია** და **ნ. ანელი**, უმცროს მეც. მუშაკებიდან **შ. კახაძე** და **თ. ჯიბლაძე**.

მათი მეშვეობით განმტკიცდა შრომის დისციპლინა, სასწავლო რეჟიმი, აქტიურად იბრძვიან საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების გატარებისათვის

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უმოკლეს დროში გაიგზავნება მოსკოვში ერთი ასისტენტი.

კათედრა ამზადებს აგრეთვე სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებისათვის (მიწსახკომი, ბიოლოგიური სადგური, ბოტანიკური ბაღი და სხვ,) ახალგაზრდა კადრებს. გამოსასვლელ დღეებში ასისტენტ პ. ცაგარელის ხელმძღვანელობით ეწყობა ლექციები კათედრის თანამშრომელთათვის, სტუდენტობისათვის და დაინტერესებულ პირთათვის ტფილისის გამწვანების საკითხებზე. სტუდენტთათვის, საზოგადოების დაინტერესებულ პირთათვის და კათედრის წევრთათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ნოემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყება სამეცნიერო საჯარო მოხსენებანი ყოველ ექვსდღიურში ერთხელ. შედგენილია საამისო კალენდარული ცხრილი და უზრუნველყოფილია საჯარო მოხსენებისათვის მეცნიერი მუშაკები. განსაკუთრებული დახმარება ეწევა ჩამორჩენილ სტუდენტებს. ამ მიზნით ჩამოყალიბებულია ცალკე ჯგუფები და მიმაგრებული არიან ასისტენტები დახმარების გასაწევად.

**ნ. კეცხოველის** ენერგიული მუშაობით, კათედრა იბრძვის იმისათვის, რომ მომავალშიაც შეინარჩუნოს პირველობა.

**გ. მთვარაძე**

# ჩვენ გვწერენ

თქვენი გაზეთის ა/წლის 15 ოქტომბრის №-ში მოთავსებული იყო პატარა ფელეტონი სათაურით „ერთი წიგნის ნაამბობი“, რომელიც ეხებოდა ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში შექმნილ მდგომარეობას წიგნის დაცვის საქმეში.

აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეიცავს. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გადადგმულ იქნა პრაქტიკული ნაბიჯები ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მიერ. გამოყოფილია სპეციალური წიგნის დაცვის სექტორი. გადაცემულია 2000 მდის წიგნი ასაკინძად, აწერილია წიგნების დიდი ნაწილი, განზრახულია საუბრების ჩატარება მკითხველთა შორის წიგნის დაცვისა და კულტურულად გამოყენების შესახებ. მოეწყო ერთი შაბათობა თანამშრომლების მიერ და დალაგდა წიგნები. გადამუშავებულია ყველა ძველი წიგნი (განსაკუთრებით პერგამენტის ბიბლიოთეკა) და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები გაზეთში აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად.

**უ. გაგეჩავა**



სტუდენტთა ქალაქის სასადილოს გამგე: ვაი, ვაიმე გაზეთში ჩამაგდეს.

# რას მივაღწიეთ

№ 65, 66 და 67 გასამხედროებულ ჯგუფების სტუდენთა საბახაკო შეკრება საუკეთესო მაჩვენებლებით ჩატარდა. 12 აგვისტოს თარილის № 48 ბრძანებით ამ ჯგუფის სტუდენტებმა მიიღეს უმცროს მეთაურთა ხარისხი. მაგრამ ეს არ გვაკმაყოფილებს. გვინდა მივიღოთ ჩვენი ენერგიული მუშაობითა და გამოცდილი სამხ. ხელმძღვანელების დახმარებით საშუალო მეთაურის ხარისხი, რისთვისაც სამხედრო ხელმძღვანელობამ დროულად გაშალა მუშაობა, დროზე დაიწყეს ნორმალური მეცადინეობა, წარმოებს გადმოცემული მასალის შეთვისების შემოწმება, რაც აადვილებს თითოეული სტუდენტის წლიური მუშაობის შეფასებას.

დაყვანილია სტუდენტობამდის პროგრამა არტილერიის სამხედრო წესდების საგანში. საჭიროა დანარჩენი საგნების პროგრამის დაყვანაც უმოკლეს ვადაში. ჯერ კიდევ ჯგუფში არაა გაშლილი სოც. შეჯიბრება-დამკვრელობა. გასამხედროებული ჯგუფის სტუდენტობამ მივიღეთ შემდგომი ვალდებულება: მივსცეთ მუშაობისა და დისციპლინის სანიმუშო მაგალით 1-ელ კურსზე მიღებულ სტუდენტებს და დავეხმაროთ სამხედრო ხელმძღვანელებს მათ აღზრდაში საუკეთესო მებრძოლებად.

**ი. ოკუჯავა**

# გადამჭრელი ბრძოლა გაცდენების წინააღმდეგ

(ოქტომბრის ცნობები)

სახ. უნივერსიტეტში ოქტომბრის განმავლობაში გაცდენილია ყველა ფაკულტეტზე სტუდენტების მიერ **22.489 სტუდენტ. საათი.** ხოლო პედაგოგიურ პერსონალის მიერ **501 სალექც. საათი.** აქედან: საპატიო მიზეზით—271 სალექციო საათი, არა საპატიო მიზეზით—230 სალექციო საათი.

ფაკულტეტების მიხედვით ოქტომბერში გაცდენილია:

| | | |
|---|---|---|
| **ეკონომიურ ფაკულტეტზე** | 9.850 | სტუდ. საათი. |
| **სამართლის ფაკულტეტზე** | 2.203 | ,, ,, |
| **ისტორიულ ფაკულტეტზე** | 1.716 | ,, ,, |
| **ლიტერატურულ ფაკულტეტზე** | 3.844 | ,, ,, |
| **ფიზიკო მათემატიკურზე** | 1.178 | ,, ,, |
| **ქიმიურ ფაკულტეტზე** | 1.038 | ,, ,, |
| **ბიოლოგიურ ფაკულტეტზე** | 1.155 | ,, ,, |
| **გეოგრაფ-გეოლოგიურ ფაკ.** | 1.515 | ,, ,, |

აღსანიშნავია ის სამწუხარო მდგომარეობა რომ **ადგილი აქვს გაცდენების ზრდის ტენდენციას.** ასე მაგალითად, პედ. პერსონალის მიერ ოქტომბრის პირველ ექვსდღიურში გაცდენილ იქნა 95 სალექციო საათი, მეორე ექვსდღიურში103 სალექც. საათი, მეოთხე ექვსდღიურში 123 სალექციო საათი.

იგივე მდგომარეობა გვაქვს უმრავლეს ფაკულტეტებზეც. მაგალითად:

**ეკონომიურ ფაკულტეტზე** ოქტომბრის მეორე ექვსდღიურში გაცდა 1.837 სტუდ. საათი, მეოთხე ექვსდღიურში 2.367 სტუდ. საათი, ხოლო უკანასკნელ ექვსდღიურში 2183 სტუდ. საათი.

**სამართლის ფაკულტეტზე**—მეორე ექვსდღიურში გაცდენილი იყო 390 სტ. საათი, მეოთხე ექვსდღიურში კი გაცდა 527 სტუდ. საათი, ხოლო უკანასკნელ ექვსდღიურში 475 სტ. საათი.

**ლიტერატურულ ფაკულტეტზე** მესამე ექვსდღიურში გაცდა 419 სტ. საათი, მეოთხე ექვსდღიურში 684 სტ. საათი, ხოლო უკანასკნელ ექვსდღიურში 901 სტ. საათი.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი, **ისტორიულ, ფიზიკო-მათემატიკურ და გეოგრაფ-გეოლოგიურ ფაკულტეტებზე.** ამ უკანასკნელმა გაცდენები ოქტომბრის ბოლო ექვსდღიურში გააორკეცა.

ეს ციფრები მოწმობს, რომ **ძირეული სამკუთხედები (ჯგუფებში) თვითდენაზე ეყრდნობიან გაცდენებთან ბრძოლის საქმეში. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას გაცდენების ასეთი ზრდა.** აკადემიური ჯგუფების მუშაობის [illegible]ევიდა საპასუხისმგებლო პერიოდში, ჯგუფების სამკუთხედებმა გარდამწყვეტი ბრძოლა უნდა გააჩაღონ გაცდენების წინააღმდეგ, ჯგუფში მტკიცე დისციპლინის შექმნისათვის. ამ საქმეში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრება, წითელი და შავი დაფა, როგორც ჯგუფებს შორის, ისე ინდივიდუალურად. **ჯგუფის თითოეული სამკუთხედის მუშაობა შეფასებული იქნება იმის მიხედვით, თუ როგორ იბრძვის დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების მაღალი ხარისხისათვის.**

ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ აგრეთვე იმისთვის, რომ პროფესორ-ლექტორების მიერ [illegible]ლიურებულ იქნეს გაცდენილი საათებით.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ დისციპლინა სწყვეტს გეგმის შესრულებას, ხოლო ვინც ოდნავ არღვევს დისციპლინას, ის შლის სასწავლო გეგმის შესრულებას.

**შ. ქ—ძე**

# წერილები ჯგუფებიდან

## ლექციაა თუ მიტინგი?

ეკონომიური ფაკულტეტის მე-3 კურსზე № 45, 46 და 47 ჯგუფებში სპეც. აღრიცხვაში ლექციას კითხულობს დოცენტი **ინწკირველი.** უნდა აღვნიშნოთ, რომ წაკითხულ ლექციას მაღალი ხარისხი აქვს, მაგრამ სტუდენტობის მიერ შეთვისების ხარისხი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ ხსენებული ჯგუფები გაერთიანებული არიან ლექციის წაკითხვის დროს, რაც იწვევს უდისციპლინობას.

აუდიტორია მეტად პატარაა და სტუდენტობას ვერ იტევს, **სტუდენტების უმრავლესობა ფეხზე მდგარი ისმენს ლექციას.** რასაკვირველია ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი შეთვისების მაღალ ხარისხზე. სხვა საგნებში შესაძლებელია კიდევ მოსახერხებელი იყოს რამდენიმე ჯგუფის გაერთიანება ლექციის დროს, მაგრამ სპეც. აღრიცხვაში ეს შეუძლებელია.

**გ. ჭელიძე**

## გამოსწორების გზაზე

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოსწორდა სტუდენტთა ქალაქის სასადილოს მუშაობა, თუ წინად სადილის გაცემას ადრე იწყებდენ და სადილი დღის სამ საათამდის თავდებოდა ახლა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მითითებით და გაზ. „ბოლშევიკური კადრების“ გამოხმაურების შემდეგ ეს მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი რიგები, რომლებიც დღემდის არსებობდა აღარ ჩანს.

მიუხედავად ამისა დღემდის არ გამოსწორებულა სადილის ხარისხი. ჯერ კიდევ სადილის მიმტანი ქალები ცუდად მუშაობენ, ადგილი აქვს ჩეკების მითვისებას ცალკე მიმტანების მიერ. მიმტანმა **შიუკაშვილმა** რომელიც მუშაობს მე-8 რიგში სადილის მიმტანად, მიითვისა სადილის რამდენიმე ჩეკი. ამას გარდა მას არა აქვს წესიერი მუშაობის უნარი, აჭიანურებს დროს და ადიდებს მოსადილეთა რიგს. ასეთი შემთხვევა (სადილის ჩეკების მითვისებისა) ხშირია.

საჭიროა ამ მდგომარეობის დაუყონებლივ გამოსწორება.

**გ. ქუთათელაძე**



ტ. ს. უ. ეკ. ფაკ. კ. კ. ორგან. გამოწვევით „ახ. კომუნისტი“-ს თვით მფრინავის ახაგებ ფონდში სამართლის ფაკ. კ. კ. ორგანიზაციას შემოაქვს ას ორმოცდა ექვსი მანეთი (146 მ.).

ტ. ს. უ. სამ. ფაკ. კ. კ. ორგანიზატორი: **ა. დოლიძე**

# ქ რ ო ნ ი კ ა

25 ნოემბერს, სად. 19 საათზე აუდ. № 146—ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანატმა მოაწყო სალიტერატურო—სამეცნიერო წრის წევრთა შეკრება.

დღის წესრიგი: 1) წრის გამგეობის საანგარიშო მოხსენება.

2) წრის მომავალი მუშაობის ხასიათი და ამოცანები (მომხ. ამხ. ბენიტო ბუაჩიძე.)

3) გამგეობის არჩევნები.

გამოვიდა და იყიდება მ. ჩარექიშვილის და თ. გველესიანის წიგნი „მზა ტანსაცმელი და მისი საგაჭრო“ პროფ. კ. მეგრელიძის რედაქციით.

## ჩაითვალოს გაუქმებულად

სტუდენტობის მოწმობა სამართლის ფაკულტეტის მიერ გაცემული № 224. გრ. ხოფერიას სახელზე.

სტუდენტობის მოწმობა № 122. ნ. მემანიშვილის სახელზე.

კოოპერატივის წიგნაკი ელენე ლასხიშვილის სახელზე.

განათლების კავშირის საწევრო წიგნაკი ს. ჭილაიას სახელზე.

რედაქტორი—
სარედაქციო კოლეგია

ტირაჟი 4000 სახელმწიფო უნივერსიტეტის ტიპო-ლიტოგრაფია მთავლიტის რწმუნებული გ. № 113.